ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი #4

1 ნოემბერი 2023 წელი

დღის წესრიგი

საკრებულოს სააქტო დარბაზი

1 ნოემბერი 2023 წელი

12 : 00 საათი

1. სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღის აღნიშვნა - წარმოდგენილი კანდიდატების სიის განხილვა - მომხსენებელი ელისო ჯიქია, მერიის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;

2. ,, საუკეთესო პრაქტიკა 2023,, წარსადგენი პროექტი - ,, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობა,, - მომხსენებელი ელისო ჯიქია, მერიის გენდერულ საკითხებზე ასუხისმგებელი პირი;

3. საბჭოს წევრთა ფორმირების საკითხები- მომხსენებელი კობა კუბლაშვილი, საბჭოს თავმჯდომარე;

4. ნანა მჭედლიძის სახელობის სკვერის კეთილმოწყობა- მომხსენებელი კობა კუბლაშვილი, საბჭოს თავმჯდომარე;

ხონის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი № 4

1 ნოემბერი

ქ. ხონი

2023 წლის 1 ნოემბერს , ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააქტო დარბაზში,ხონის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის კობა კუბლაშვილის ხელმძღვანელობით საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა , რომელსაც ესწრებოდნენ წევრები : გელა ჩოგოვაძე, ზაზა რუხაძე, ელისო ჯიქია, გურამ ბახტაძე, ზურაბ მიქაძე, ბაჩანა ბასილაია, თამარ უგულავა, თეკლა ონიანი, აკაკი ქვათელაძე, ზაზა ვაშაკიძე, ლავან ჩიხლაძე, გერასიმე მჟავანაძე, აკაკი ქვათელაძე, თეკლე ონიანი.

შეხვედრის დღის წესრიგი:

1. სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღის აღნიშვნა - წარმოდგენილი კანდიდატების სიის განხილვა - მომხსენებელი ელისო ჯიქია, მერიის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;

2. ,, საუკეთესო პრაქტიკა 2023,, წარსადგენი პროექტი - ,, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობა,, - მომხსენებელი ელისო ჯიქია, მერიის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;

3. საბჭოს წევრთა ფორმირების საკითხები- მომხსენებელი კობა კუბლაშვილი, საბჭოს თავმჯდომარე;

4. ნანა მჭედლიძის სახელობის სკვერის კეთილმოწყობა- მომხსენებელი კობა კუბლაშვილი, საბჭოს თავმჯდომარე;

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხზე: მომხსენებელმა ელისო ჯიქიამ წარმოადგინა მერის წარმომადგენელთა მიერ შერჩეული სოფლად მცხოვრები დამსახურებული ქალების სია : ,,გენდერული საბჭოს ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის მერის ლადო ჯურხაძის მხარდაჭერით, მერის წარმომადგენლებს დაევალათ შეერჩიათ სოფლად მცხოვრები ქალები, რომლებმაც მთელი ცხოვრება, საკუთარი შრომითა და მოღვაწეობით, მიუძღვნეს სოფელს და წვლილი შეიტანეს თემის განვითარებაში. თემმა წარმოადგინა ერთი კანდიდატი და ვინაიდან, მუნიციპალიტეტი მოიცავს 12 ადმინისტრაციულ ერთეულს, ჯამში, გაცნობისა და ინფორმირებულობის მიზნით, გიზიარებთ 12 კანდიდატს და , გთხოვთ, გაუწიოთ რეკომენდაცია, რომ მოხდეს წარმოდგენილი კანდიდატების წახალისება,,.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე: მომხსენებელმა ელისო ჯიქიამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობისა და წახალისების მიზნით

განხორციელებული ღონისძიების შედეგის შესახებ საბჭოს ინფორმაცია მიაწოდა: ,,მოგეხსენებათ , 2023 წლის ,, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ,, განხორციელების პროცესში, მერიის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირის ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის მერის, ლადო ჯურხაძის მხარდაჭერით, სპეციალური სმს შეტყობინების საშუალებით , სოფლად მცხოვრებ ქალებს მოვუწოდეთ მონაწილეობა მიეღოთ სოფლისა და დასახლების კრებებში, სადაც პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება და იმ პროექტების შერჩევა ხდება , რომელთა განხორციელებაც პრიორიტეტულია სოფლისთვის. აქტივობამ შედეგი გამოიღო და კრებების სიების გენდერული ანალიზმა გვიჩვენა , რომ გასულ წლებთან შედარებით 20% -ით მეტმა ქალმა მიიღო მონაწილეობა სოფლის კრებებში. შემდგომ ეტაპზე გამოვავლინეთ ის სამი სოფელი , სადაც პროცენტულად ყველაზე მეტი ქალი დაესწრო კრებას და სოფლებში უძლოურში, გვაშტიბსა და გოჩა - ჯიხაიშში ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა. გადაწყდა, რომ სხვა სოფლებში ქალთა გასააქტიურებლად , მიმდინარე წელს წახალისდნენ აღნიშნულ სოფლებში მაცხოვრებელი ქალბატონები. ამ საკითხს რეკომენდაცია გაუწია ხონის მუნიციპალიტეტის გენდერულმა საბჭომაც და მერის გადაწყვეტილებით, სოფლებში უძლოურსა და გელავერში მცხოვრები ქალბატონები წახალისდებიან, მათთვის მოეწყობა გასვლითი ღონისძიება და მოინახულებენ ვანის ისტორიულ მუზეუმს, ხოლო სოფელ გოჩა-ჯიაიშში მცხოვრები ქალბატონებისთვის გამოიყოფა დამატებითი ფინანსური რესურსი და ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში,, განხორციელებული პროექტი ,,საბიბლიოთეკე სიცრცის რემონტი,, კეთილმოეწყო შესაბამისი ინვენტარით,,. გვსურს ეს პროექტი წარვადგინოთ ეროვნული თვითმმართველობის მიერ გამოცხადებულ საუკეთესო პრაქტიკის კონკურსზე და მნიშვნელოვანია საბჭოს რეკომენდაცია და შენიშვნები,,.

დღის წესრიგით გათვლისწინებულ მესამე საკითხზე: მომხსენებელმა კობა კუბლაშვილმა საბჭოს წევრებს მიმართა: ,, საბჭოს წევრთა სხდომებზე დასწრების სტატისტიკა არასახარბიელოა. როგორც ჩანს წევრთა დიდი ნაწილი არ თვლის სავალდებულოდ და არც საპასუხისმგებლოდ, რომ დაესწრონ საბჭოს სხდომებს, რაც უარყოფითად აისახება საბჭოს მუშაობაზე. საჭიროა საბჭოს გადახალისება და სასურველია შევჯერდეთ ფორმებზე , როგორ მოხდეს საბჭოს დაკომპლექტება- კონკურსის წესით თუ მოწვევით. გთხოვთ გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები და კენჭი ვუყაროთ ამ საკითხს,,.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხზე: მომხსენებელმა კობა კუბლაშვილმა საბჭოს წევრებს მიმართა ინიციატივით, რომ მოხდეს ნანა მჭედლიძის სახელობის სკვერის კეთილმოწყობა და რეკომენდაცია გაეწიოს ამ საკითხს.,, ნანა მჭედლიძე და მისი შემოქმედება ხონის სავიზიტო ბარათია. კარგია, რომ საბჭოს ინიციატივით მოხდა ვალია ბახტაძის ქუჩაზე მდებარე სკვერის სახელდება და სკვერს ამ ღირსეული ქალბატონის სახელი მიენიჭა. ახლა საჭიროა ეს სკვერი კეთილმოეწყოს და სათანადოდ გამოიყურებოდეს,,.

საბჭოს წევრებმა წარმოდგენილ საკითხებზე იმსჯელეს მიიღეს **გადაწყვეტილებები** და შეიმუშავეს შემდეგი **რეკომენდაციები:**

პირველი საკითხი:

ბაჩანა ბასილაია(საბჭოს წევრი):,, კარგია , რომ ამ სიის მინიმუმ გაცნობა და გაზიარება მოხდა საბჭოს ფორმატში. სასურველი იქნება თუ მომავალში საბჭო შექმნის სამუშაო ჯგუფს და სრულყოფილად შეისწავლის წარმოდგენილ კანდიდატებს და გასცემს საფუძვლიან რეკომენდაციას,, .

ზაზა ვაშაკიძე(საბჭოს წევრი): ,, კარგი იქნებოდა შერჩევის პროცესში ჩართული ყოფილიყვნენ თემის მაჟორიტარი დეპუტატებიც. წარმოდგენილი კანდიდატები მისაღებია,,.

თამარ უგულავა (საბჭოს წევრი): ,, წარმოდგენილ კანდიდატებს შორის არიან ისეთი ქალები , რომელთა წახალისებაც სხვა ფორმატში და სხვა დროს განხორციელდა. ჩემი მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა, რომ განეხილათ ისეთი მოქალაქეები, რომელთა ღვაწლი არასოდეს დაფასებულა. ეს სამომავლოდ. წარმოდგენილ სიას ვუწევ რეკომენდაციას,,.

<u>მსჯელობისა და წარმოდგენილი შენიშვნების შემდგომ, სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წარმოდგენილი სია საბჭომ მოიწონა და წევრთა რეკომენდაციით , კარგი იქნება თუ სიმბოლურად დაფასდება მათი შრომა და ღვაწლი.</u>

მეორე საკითხი:

ბაჩანა ბასილაია (საბჭოს წევრი): ,,ძალიან კარგი პრაქტიკაა, ვფიქრობ ყველა დონეზე იქნება მოწონებული,,.

ლევან ჩიხლაძე (საბჭოს წევრი): ,, წახალისებით მიზნით არც ფინანსური რესურსების მოძიება გაგვჭირვებია. გოჩა- ჯიხაიშის ბიბლიოთეკისთვის ინვენტარის შესყიდვა უკვე განხორციელებულია. რაც შეეხება გასვლით ღონისძიებას , უახლოეს მომავალში დაიგეგმება და განხორციელდება,,.

<u>გამოქმული მოსაზრებების შემდგომ, საბჭომ ინიციატივა მოიწონა და მისცა რეკომენდაცია , რომ საკუკეთესო პრაქტიკის კონკურსში ხონის მუნიციპალიტეტის წელს ამ თემით იყოს წარმოდგენილი.</u>

მესამე საკითხი:

გელა ჩოგოვაძე (საბჭოს წევრი): მარტივი რომ იყოს პროცესი და სირთულეები არ შევქმნათ, მოვიწვიოთ ადგილზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და კანონმდებლობით გათვალისწინებული საკრებულოს წევრები. ვფიქრობ, კონკურსი საჭირო არ არის,,.

თამარ უგულავა (საბჭოს წევრი): ,, კონკურსის წესით შერჩეულ წევრებს ექნებათ მაღალი მოტივაცია და საბჭო არ დადგება იმ გამოწვევის წინაშე , რაც დღეს გვაქვს,,.

თეკლე ონიანი(საბჭოს წევრი): ,, კონკურსის წესით წევრთა შერჩევის შემთხვევაში გაცილებით მოტივირებულ და ეფექტურ საბჭოს მივიღებთ. პროცესი არც სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, ვინაიდან გვაქვს კარგი პრაქტიკა ახალგაზრდული საბწს ფორმირების მაგალითზე,,.

<u>გამოთქმული მოსაზრებების შემდგომ საბჭომ გასცა რეკომენდაცია , რომ საბჭოს წევრთა ნაწილი , რაც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული და მოიცავს საკრებულოს არჩეულ წევრებს იქნას მოწვეული, ხოლო მეორე ნაწილი კონკურსის წესით შეირჩეს.</u>

მეოთხე საკითხი:

გუგა ბახტაძე (საბჭოს წევრი): ,, მნიშვნელოვანია ,კეთილმოეწყოს ნანა მჭედლიძის სახელობის სკვერი . თუ კანონმდებლობით არის შესაძლებელი და მუხლში გვაქვს შესაბამისი რაოდენობის თანხა, გენდერული ბიუჯეტიდან მოხდეს ფინანსური რესურსის გახარჯვა,,.

ია სულუხია (საბჭოს წევრი) : ,, თუ მიმდინარე წელს ვერ მოხერხდება , ვიზრუნოთ , რომ 2024 წლის ბიუჯეტში ეს საკითხი იყოს გათვალისწინებული,,.

<u>საბჭომ აღნიშნული საკითხი მოიწონა და მხარი დაუჭირა ინიციატივას, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიძებნოს ფინანსური რესურსები და კეთილმოეწყოს ნანა მჭედლიძის სახელობის სკვერი.</u>

ხონის გენდერული თანასწორობის

საბჭოს თავმჯდომარე: კობა კუბლაშვილი

მდივანი : აკაკი ქვათელაძე